სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
შემოწმების შესახებ

## ინსპექტირების აქტი № 004408

ფოთის პორტი №3 ნავმისადგომი — 6.08.2024 წელი
(აქტის შედგენის ადგილი) (თარიღი)

M/V „SUNNY LYNN" მცურავი საბაჟო დროშის ქვეშ
(რეგულირების ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი,
ტვირთმზიდი ნავსადგური სანაოსნო IMO N9124926
ობიექტის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის, ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი,
წყალწყვა 7945 mt
მისამართი, რეგულირების ობიექტის წარმომადგენლობის დამადასტურებელი რეკვიზიტები)
გემის კაპიტანი, [redacted]

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები შეამოწმა ატმოსფერული
ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურე(ებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)
სამმართველოს სამსახურის მთავარი სპეციალისტი
მთავარი სპეციალისტი [redacted]

შემოწმების ჩატარების საფუძველი ატმოსფერული ზედამხედველობის
(ბრძანება – რეგულირების ობიექტის შემოწმების შესახებ ან სხვა
დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის სამმართველოს
შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი)
სამსახურის ოქმი DES 0 24 0000013 ბრძანება

შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს გემის კაპიტანი [redacted]
(შემოწმებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა[redacted])
[redacted]

შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები ლიალური წყალი – 5.57 $m^3$
ფეკალური წყალი – 8,60 $m^3$, ჩამდინარე წყლის სისტემა – SBT-25
(როდიდან მოქმედებს, გამოყენებული ნედლეული, წარმოებული პროდუქცია, საპროექტო და ფაქტობრივი სიმძლავრე,
ნავთობიანი წყალი – 96,16 $m^3$, გემის ნარჩენების
გარემოსდამაბინძურებელი უბნები და მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათება, ტექნოლოგიური პროცესის მოკლე
ინსინერატორი ჩართულია

გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები არ გამოვლენილა NO REMARKS
(დარღვევათა სრული ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში)

მიწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

ობიექტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

აქტს თან ერთვის დანართი: ვიდეო ჩანაწ...

06/08/2024

DES 9 24 00050323

შემოწმების ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის 6 აგვისტოსს ფოთის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ინსპექტორი ერთად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მიზნით შევამოწმეთ ფოთის საზღვაო ნავსადგურის #3 ნავმისადგომთან მდგომი მცურავი საშუალება თ/მ ,,SUNNY LYNN''.

შემოწმებული იქნა:

1. გემის გემბანი ვიზუალურად, შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიზნით;
2. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული და საზღვაო რეგისტრის მიერ გაცემული ზღვის ნავთობით, საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლებით და ნაგვით დაბინძურების თავიდან აღკვეთის სერტიფიკატები, მათი გაცემისა და მოქმედების ვადები;
3. სახომალდო დოკუმენტები: ნავთობის ოპერაციების ჟურნალი (ნაწილი 1), ნაგვის ოპერაციების ჟურნალი, ნაპირზე ნავთობის ან ნაგვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები და მათში ჩანაწერების არსებობის იდენტურობა;
4. სამანქანო განყოფილება, კერძოდ: დათვალიერებული იქნა აღნიშნული განყოფილება: დადგენილი იქნა სქემის მიხედვით ნავთობშემცველი (ლიალური), შლამისა და სამეურნეო-ფეკალური წყლების ავზების ადგილმდებარეობა; გაზომილი იქნა ავზებში არსებული სითხე;
5. ვინაიდან აღნიშნულ გენზე სამეურნეო-ფეკალური წყლების დაგროვება ხდებოდა გემის ავზში ამ ავზიდან ზღვაში ჩამშვები სარქველის მდგომარეობა (დაკეტილი და დალუქული);
6. ავზების დაზომვის შემდეგ დადგენილი იქნა მიღებული ციფრების ნავთობის ოპერაციების ჟურნალში არსებულ ჩანაწერებთან შესაბამისობა;
7. სამანქანო განყოფილების ჟურნალში ჩანაწერების პერიოდულობა და სისწორე.

შემოწმების დროს რაიმე დარღვევა არ გამოვლენილა.

აღნიშნულის შედეგად ჩემს მიერ შედგენილი იქნა შემოწმების შესახებ ინპექტირების აქტი №004408.